




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №84

2016 წელი 5 აგვისტო

ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის მაისის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ


ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის მაისის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად მოსახლეობის ინფრასტრუქტურას მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი. ხაშურში, დაბა სურამში და ხაშურის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების სახურავები, რის გამოც საჭირო გახდა დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა. სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით საჭიროა დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის მაისის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის მაისის თვეში მომხდარი სტიქიის (ქარიშხლის) შედეგების სალიკვიდაციოდ, დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა დანართი №1- ის შესაბამისად (დანართი თან ერთვის 2 ფურცლად);
2. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 10 მაისს №1717 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ საბაზრო ღირებულებების მიხედვით წარმოდგენილ სამუშაოთა სახელმძღვანელო გაფასება დანართი N2-ის შესაბამისად (დანართი თან ერთვის 1 ფურცლად);
3. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის მაისის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების განცხადების შემოტანის ვადად განისაზღვროს 2016 წლის 10 აგვისტო;
4. დაზარალებულებზე თანხების გაცემა მოხდეს გამგებლის ბრძანების საფუძველზე;
5. განკარგულება აღსასრულებლად გაეფხავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
6. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
7. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე

ვაჟა შუბითიძე



ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის მაისის თვეში მომხდარი სტიქიის (ქარიშხლის)

შედეგების სალიკვიდაციოდ დაზარალებულ მოქალაქეთა

დახმარების პროგრამა

1. პროგრამის მიზანი

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის მაისის თვეში მომხდარი სტიქიის (ქარიშხლის) შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებზე დახმარების გაცემა.
2. პროგრამის მიღებას საფუძვლად უდევს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი.

2. პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად ფულად ან სამშენებლო მასალით დახმარებას მიიღებენ მოქალაქეები, რომელთა საცხოვრებელ ინფრასტრუქტურულ ობიექტებს მიაღვათ ზიანი, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის მაისის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად. ფულადი დახმარება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით დაზიანებული უძრავი ქონების მესაკუთრეზე ან ოჯახის სრულწლოვან წევრზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა მოქმედებს 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

4. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. პროგრამით მოსარგებლე ფულადი დახმარების მიმღებმა პირმა უნდა წარმოადგინოს:
 - ა) განცხადება გამგებლის სახელზე;
 - ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
 - გ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
 - დ) საბანკო ანგარიშის ნომერი;
 - ე) ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელისაგან, იმ შემთხვევაში თუ უძრავი ქონება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, რისთვისაც:
 - ე) წარმომადგენელი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირის განცხადების შესწავლას, რის საფუძველზეც ინფორმაციაში ასახავს ფაქტის შესაბამისობას რეალობასთან და ახდენს ფულადი დახმარების მიმღები დაზარალებული ოჯახის იდენტიფიცირებას;
 - ე) წარმომადგენლის მიერ შესწავლა და გარემოებათა გამოკვლევა ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით;
 - ვ) სანოტარო წესით დამოწმებული თანამესაკუთრეების თანხმობები ერთ-ერთი მესაკუთრეზე ფულადი დახმარების გაცემის შესახებ;

- ზ) საჯარო რეესტრის ამონაწერის არ არსებობის შემთხვევაში ოჯახის სრულწლოვანი წევრების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა ოჯახის ერთ-ერთი სრულწლოვანი წევრის მიერ ფულადი დახმარების მიღებაზე;
 - თ) მესაკუთრის ადგილზე არ ყოფნის შემთხვევაში ფულადი დახმარების გაიცემა სანოტარო წესით დამოწმებული სათანადო მინდობილობის საფუძველზე;
2. პროგრამით მოსარგებლე სამშენებლო მასალის მიმღებმა პირმა უნდა წარმოადგინოს:
- ა) განცხადება გამგებლის სახელზე;
 - ბ) პირადობის მოწმობის ასლი.

მასალების გაფასება

დანართი №2

№	დასახელება	განზ.	ერთ. ფასი
1	აზბოცემენტის შიფერი	ცალი	16.00
2	თუნუქის ფურცელი 5მმ	ცალი	16.40
3	ონდოლინი	ცალი	18.00
4	ხის კოჭი	მ3	490.00
5	ფიცარი 30მმ	მ3	490.00
6	ცემენტი M200	ტონა	200.00
7	ბლოკი 20x20x40	ცალი	1.00
8	ქვიშა	მ3	24.00
9	ბეტონი M200	მ3	103.00